



საწარმოთა ფინანსური სიმყარის მონიტორინგის განხორციელების მოქმედი მეთოდის შეფასება

რეზიუმე

ბატარ ბარათაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: barata49@mail.ru

სტატიაში – „საწარმოთა ფინანსური სიმყარის მონიტორინგის განხორციელების მოქმედი მეთოდის შეფასება“ განხილულია 5 ჯგუფის კოეფიციენტები და მათი შეფასების კრიტერიუმები. ეს ჯგუფებია: საკმისი აქტივობის, კაპიტალის სტრუქტურის, ლიკვიდობის, რენტაბელობის და საბაზრო აქტივობის. თითოეულ ჯგუფში არანაკლებ სამი მაჩვენებელი არის დახასიათებული და მათი შემფასებელი ნორმატივები წარმოდგენილი.

საფინანსო კოეფიციენტების ჩამოთვლილი ჯგუფებიდან სააქციო საზოგადოება იყენებს ყველას, ხოლო დანარჩენი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები მხოლოდ პირველ ოთხ ჯგუფს.

სტატიაში წარმოდგენილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზის გამოსათვლელი ალტმანისეული ფორმულაც და მისი შეფასების კრიტერიუმებიც არის მოცემული.

საკვანძო სიტყვები:

მონიტორინგი
ფინანსური
ლიკვიდობა
აქტივობა
რენტაბელობა
სიმყარე
ბრუნვალობა
კოეფიციენტი

შესავალი

ნებისმიერი კომპანიის, კერძოა იგი თუ სახელმწიფო, საქმიანობა საბოლოოდ ფასდება არა კადრების კვალიფიკაციით, არა ტექნოლოგიის დონით და არა მარკეტინგული საქმიანობით, არამედ ფინანსური მდგომარეობით, რაც ფინან-

სურ სიმყარეში გამოიხატება.

ფინანსური სიმყარის დასადგენად კომპანიებს უტარდებათ ფინანსურ მაჩვენებელთა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი, იგება ტრენდები, აგრეთვე, იანგარიშება და ფასდება ფინანსური კოეფიციენტები. ამ კოეფიციენტთა სიმრავლის გამო, სხვადასხვა კომპანია სხვადასხვა კოეფიციენტს აძლევს უპირატესობას.

სტატიაში ვიხილავთ ყველა ფინანსური კოეფიციენტის გაანგარიშების ალგორითმს და მათი შეფასების კრიტერიუმებს.

1. საკმისი აქტივობის და კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტები

საბაზრო ეკონომიკის დროს სამეურნეო სუბიექტების მუშაობის ეფექტიანობა მათი საბოლოო ფინანსური შედეგებით ფასდება. ფინანსური კოეფიციენტები მრავალრიცხოვანია. ამერიკელი მეცნიერი ვ. ჰორნის აზრით, რომელიც თითქმის იმეორებს სხვა უცხოელი ფინანსისტების აზრს, ფინანსური კოეფიციენტები ჯგუფდება 5 ჯგუფად [1, გვ. 76]. ესენია:

- საკმისი აქტივობის კოეფიციენტები (Activity ratios);
- კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტები (Gearing ratios);
- ლიკვიდურობის კოეფიციენტები (Liquidity ratios);
- რენტაბელობის კოეფიციენტები (Profitability ratios);
- საბაზრო აქტივობის კოეფიციენტები (Investment ratios);

ფინანსური კოეფიციენტების პირველ ჯგუფში – საკმისი აქტივობის ჯგუფში – შემავალი მაჩვენებლების დასახელება და ანგარიშის მეთოდიკა ასეთია:



1. აქტივების ბრუნვაობა ჯერებში (Total assets turnover) =

$$= \frac{\text{პროდუქციის და მომსახურების რეალიზაცია}}{\text{აქტივების საშუალო წლიური თანხა}};$$
 2. ძირითადი კაპიტალის ბრუნვაობა ჯერებში (Fixed capital turnover) =

$$= \frac{\text{პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია}}{\text{ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური თანხა}};$$
 3. საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობა ჯერებში (Working capital turnover) =

$$= \frac{\text{პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია}}{\text{საბრუნავი კაპიტალის საშუალო წლიური თანხა}};$$
 4. საკუთარი კაპიტალის ბრუნვაობა ჯერებში (Owners equity turnover) =

$$= \frac{\text{პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია}}{\text{საკუთარი კაპიტალის საშუალო თანხა}};$$
 5. მარაგების ბრუნვაობა ჯერებში (Store turnover) =

$$= \frac{\text{ცვალებადი ხარჯები}}{\text{მარაგების ღირებულება}};$$
 6. დებიტორული დავალიანების ბრუნვაობა ჯერებში (Debtors indebtedness turnover)

$$= \frac{\text{პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია}}{\text{დებიტორული ვალის საშუალო თანხა}};$$
 7. კრედიტორული დავალიანების ბრუნვაობა ჯერებში (Payables turnover) =

$$= \frac{\text{შესყიდვების მოცულობა}}{\text{კრედიტორული ვალის საშუალო თანხა}};$$
- ფინანსური კოეფიციენტების მეორე ჯგუფის – კაპიტალის სტრუქტურის – მაჩვენებლები იანგარიშება შემდეგნაირად:
1. ვალის დაფარვის საერთო კოეფიციენტი (Current ratios) = $\frac{\text{მოთიანი აქტივები}}{\text{საერთო ვალი}};$
 2. ნასესხი კაპიტალის კოეფიციენტი (Loan funds ratios) = $\frac{\text{ნასესხი კაპიტალი}}{\text{მოთიანი აქტივები}};$
 3. ფინანსური დამოუკიდებლობის (ავტონომიის) კოეფიციენტი (Debt to equity)

$$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოთიანი კაპიტალი}};$$
 4. პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი, ანუ კრედიტორების დაცულობის კოეფიციენტი (Times interest earned) =

$$= \frac{\text{მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე}}{\text{კრედიტებზე გასაცემი პროცენტის თანხა}};$$
- ვალის დაფარვის მაჩვენებლის ნორმა დასავლეთში 2-2,5-ის ტოლად არის მიღებული, ნასესხი სახსრების კოეფიციენტი – 0,2-ის ფარგლებშია დაწესებული, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის ნორმა კი - 0,5-0,8-ის ფარგლებშია.



2. ლიკვიდობის, რენტაბელობის და საბაზრო აქტივობის კოეფიციენტები

ფინანსური კოეფიციენტების მესამე ჯგუფია – ლიკვიდურობის კოეფიციენტები. ლიკვიდობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია და გვიჩვენებს მის მიერ ვადაში ვალების დაფარვის უნარს.

საწარმოს ლიკვიდურობის შესაფასებლად იანგარიშება ორი ფინანსური მაჩვენებელი: საერთო ლიკვიდურობის და აბსოლუტური ლიკვიდურობის. (ფინანსურ თემატიკაზე გამოქვეყნებულ ზოგიერთ ნაშრომში ესვდებით სწრაფი ლიკვიდურობის მაჩვენებელ-

$$\text{სა.ც} \left(\frac{\text{ფულადი სახსრები} + \text{ფასიანი ქაღალდები} + \text{დებიტორული დავალიანება}}{\text{მოკლევადიანი ვალის ვალდებულებები}} \right). \text{ მათგან ყველაზე}$$

უფრო მასიურად გამოიყენება საერთო ლიკვიდურობის მაჩვენებელი.

საერთო ანუ მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებლის ანგარიშის მეთოდიკა ასეთია:

საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი (Currents ratios) =

$$= \frac{\text{საბრუნავი კაპიტალი}}{\text{მოკლევადიანი ვალის ვალდებულებები}}$$

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს ყველა სახის მიმდინარე აქტივების ხარჯზე მოკლევადიანი ვალდებულებების განაღდებას უნარს. დასავლეთის პრაქტიკაში ამ კოეფიციენტის ორიენტირი არის 2,0, რაც იმას ნიშნავს, რომ ლიკვიდურობის კოეფიციენტი სასურველია, იყოს 2 ან ორზე მეტი. სხვა შემთხვევაში საწარმო არალიკვიდურია. თუმცა, არსებობს მოსაზრება [2, გვ. 57], რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის უფრო უპრიანია საწარმო ლიკვიდურად ჩაითვალოს შემდეგი ორი პირობის შესრულების შემთხვევაში:

1. როცა საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი აღემატება ერთ ერთეულს;

2. როცა საწარმოს ყველაზე უფრო ნაკლებად ლიკვიდური მიმდინარე აქტივები დაფარულია საკუთარი და მასთან გათანაბრებული დაფინანსების გრძელვადიანი წყაროებით.

აბსოლუტური (მყისიერი) ლიკვიდობა გვიჩვენებს საწარმოს მიერ მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულების უნარს თავისუფალი ფულადი სახსრებით და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებათ. მისი საანგარიშო ფორ მულა ასეთია:

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Aiced test ratios) =

$$= \frac{\text{ფულადი სახსრები} + \text{სწრაფადრეალიზებადი ფასიანი ქაღალდები}}{\text{მოკლევადიანი ვალის ვალდებულებები}}$$

დასავლეთის ფინანსური ანალიზის პრაქტიკაში გამოიყენება აბსოლუტური ლიკვიდობის 0,2-0,3 სიდიდის ნორმატიული კოეფიციენტი [3, გვ. 94]. ეს მაჩვენებელი მათ დადგენილი აქვთ ათასობით საწარმოს მუშაობაზე მრავალწლიანი სტატისტიკური დაკვირვებით. საქართველოს, ისე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ასეთი სტატისტიკური ბაზა არ გააჩნია. ამიტომ, საქართველოს საწარმოთა ლიკვიდობა უმჯობესია შევაფასოთ არა საზღვარგარეთ მიღებული ნორმატივით, ანდა ლიკვიდობის აბსოლუტური სიდიდით, არამედ ლიკვიდობის მაჩვენებლის დინამიკით. სწორედ ეს მაჩვენებელი დაგვანახებს, თუ როგორ იცვლება საწარმოს პოტენციალური გადამხდელუნარიანობა.

საერთო ლიკვიდობა გვიჩვენებს ფირმაში მოკლევადიანი ვალების დაფარვის საერთო უნარს, აბსოლუტური ლიკვიდობა კი – მის სწრაფად (ვადაში) დაფარვის უნარს.

საწარმოს ლიკვიდობის გაუმჯობესების ძირითადი გზებია:

- საკუთარი კაპიტალის ზრდა;
- მუდმივი აქტივების ნაწილის გაყიდვა;
- ზენორმატიული მარაგების შემცირება;
- დებიტორული ვალების ამოღების მიმართულებით გაძლიერებული მუშაობა;
- გრძელვადიანი დაფინანსების მიღება.

ფინანსური კოეფიციენტების მეოთხე ჯგუფი რენტაბელობის მაჩვენებლებია. ესენია:



1. აქტივების რენტაბელობა (Return on assets - ROA) =

$$\frac{\text{მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე}}{\text{აქტივების საერთო თანხა}};$$

აქტივების რენტაბელობის ოპტიმალურ კოეფიციენტად ითვლება 0,55.

2. საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობა (Return on current assets) =

$$= \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საბრუნავი სახსრები}};$$

3. რეალიზაციის (ბრუნვის) რენტაბელობა (Profit margin on sales) =

$$= \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია}};$$

4. ეკონომიკური რენტაბელობა = $\frac{\text{მოგება გადასახადების გადახდამდე}}{\text{აქტივების საერთო თანხა}}$

5. პროდუქციის რენტაბელობა = $\frac{\text{მოგება}}{\text{პროდუქციის თვითღირებულება}}$

6. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (Return on Equity - ROE)

$$= \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

საკუთარი სახსრების რენტაბელობა ასეთი სკალით ფასდება: 0-10%-მდე არის ფრთხილი რენტაბელობის ზონა, 10-20%-მდე ზომიერი რენტაბელობის ზონა, 20-35%-მდე – აქტიური რენტაბელობის ზონა, 35-50%-მდე – აგრესიული რენტაბელობის ზონა, ხოლო 50%-ზე მეტი – საშიში რენტაბელობის ზონა.

მესუთე ჯგუფის კოეფიციენტებში შედის საბაზრო აქტივობის ფინანსური მაჩვენებლები. ასეთი მაჩვენებლები აქვთ მხოლოდ სააქციო საზოგადოებებს. ეს მაჩვენებლებია:

1. მოგება ერთ აქციაზე (Earning per ordinary share) =

$$= \frac{\text{წმინდა მოგება - დივიდენდების თანხა პრივილეგირებულ აქციებზე}}{\text{ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა}};$$

2. დივიდენდი ერთ აქციაზე (Dividends per ordinary share) =

$$= \frac{\text{დივიდენდების თანხა ჩვეულებრივ აქციებზე}}{\text{ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა}};$$

3. დივიდენდების დაფარვის კოეფიციენტი (Ordinary dividend coverage) =

$$= \frac{\text{წმინდა მოგება - დივიდენდები პრივილეგიურ აქციებზე}}{\text{დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე}};$$

4. აქტივების თანხა ერთ აქციაზე (Total assets per ordinary share) =

$$= \frac{\text{აქტივების საერთო თანხა}}{\text{ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა}}$$

5. აქციების კოტირების მაჩვენებელი (Price to earnings) =



$$= \frac{\text{აქციების საბაზრო ფასი}}{\text{მოგება ერთ აქციაზე}};$$

6. აქციის საბაზრო შეფასების კოეფიციენტი (Market-to Book Ratio)=

$$= \frac{\text{აქციის საბაზრო ფასი}}{\text{აქციის საბალანსო ღირებულება}}$$

7. ტობინის კოეფიციენტი (q-ratio) =
$$\frac{\text{აქციების მთლიანი საბაზრო ღირებულება}}{\text{წმინდა აქტივები საბაზრო ფასებში}}$$

ამ უკანასკნელი მაჩვენებლის სიდიდე უნდა აღემატებოდეს ერთს ($q > 1$).

3. ფინანსური სიმყარე და ბაპოტრემის ალტმანის Z-კოეფიციენტი

ფირმის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი არ მთავრდება მხოლოდ ამ მაჩვენებლების გამოთვლით და შეფასებით. საჭიროა აგრეთვე, ფირმის ფინანსური სტაბილურობის შეფასებაც. მისი ამოცანაა ფირმის აქტივების და პასივების სტრუქტურის გარკვევა. ეს საჭიროა იმიტომ, რომ გავარკვიოთ, რამდენადაა ფირმა დამოკიდებული გარე წყაროებზე, იზრდება, თუ მცირდება ეს დამოკიდებულება და მისი აქტივებისა და პასივების მდგომარეობა პასუხობს თუ არა მის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამოცანებს. მაშასადამე, ფინანსური სტაბილურობა ახასიათებს საწარმოს დამოკიდებულებას დაფინანსების გარე წყაროებთან და განისაზღვრება საკუთარი და ნასესხი სახსრების თანაშეფარდებით და, აგრეთვე, მათი სტრუქტურით. ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები გვიჩვენებენ ინვესტიორების და კრედიტორების ინტერესების დაცულობის ხარისხს ფირმაში.

ფირმის ფინანსური სიმყარე მისი ფინანსური რესურსების, მათი განაწილებისა და გამოყენების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც რისკის დასაშვები დონის პირობებში, კაპიტალის და მოგების ზრდის და გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში უზრუნველყოფს ფირმის ზრდას. ამიტომ, ფირმის ფინანსური სიმყარის ფორმირება ხდება არა მყისიერად, რომელიმე ოპერაციის შესრულების შედეგად, არამედ ფირმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთელი პროცესის განმავლობაში და იგი ფირმის საერთო სტაბილურობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

ფირმის ფინანსური სიმყარის ანალიზი პასუხს გვაძლევს კითხვაზე – რამდენად სწორად მართავდა ფირმა თავის ფინანსურ რესურსებს და მათი მოცულობა და სტრუქტურა შეესაბამებოდა თუ არა ბაზრის მოთხოვნებს და ფირმის განვითარების მოთხოვნებს.

ფირმის ფინანსური სიმყარე 4 სახისაა [4, გვ. 342]: აბსოლუტური სიმყარე, ნორმალური სიმყარე, არასტაბილური მდგომარეობა და კრიზისული მდგომარეობა.

აბსოლუტური ფინანსური სიმყარე ეწოდება ისეთ ფინანსურ სიტუაციას, როცა ფირმის მარაგები და ხარჯები მთლიანად იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით და ფირმა არ არის დამოკიდებული კრედიტორებზე.

ნორმალური ფინანსური სიმყარე ეწოდება ისეთ ფინანსურ სიტუაციას, როცა ფირმა მარაგებს და დანახარჯებს ფარავს როგორც საკუთარი, ისე მოზიდული სახსრებით.

არასტაბილური მდგომარეობა მაშინ იქმნება ფირმაში, როცა მას საკუთარი და მოზიდული სახსრები არ ყოფნის თავისი მარაგების და დანახარჯების დასაფარავად და საფრთხის ქვეშ დგება მისი გადამხდელუნარიანობა.

ფირმაში კრიზისული ფინანსური მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა იგი გაკოტრების პირასაა. ასეთ დროს, ფირმა ვერ ფარავს კრედიტორულ დავალიანებას და ვადაგადაცილებულ სესხებსაც კი.

როგორც არასტაბილური, ისე კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს შეიძლება აღდგეს ფინანსური სიმყარე, თუ მოხდება მისი პასივების ოპტიმიზაცია და აგრეთვე, ხარჯების და მარაგების დასაბუთებული შემცირება.

ფირმების ფინანსური სიმყარის სრულყოფილი ანალიზისათვის რუსი მეცნიერი ა. კოვალოვა გვთავაზობს შემდეგ მაჩვენებლებს [5, გვ. 399]:



➤ საერთო გადამხდელუნარიანობის კოეფიციენტი;

➤ ავტონომიის კოეფიციენტი;

➤ მანევრირების კოეფიციენტი;

➤ გრძელვადიანი ინვესტიციების უზრუნველყოფის კოეფიციენტი;

➤ დაფინანსების საკუთარი წყაროებით მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი;

➤ აქტივების მობილიზაციის კოეფიციენტი;

➤ აქტივების იმობილიზაციის კოეფიციენტი;

➤ მიმდინარე აქტივების დაფინანსებაში საკუთარი წყაროების ხვედრითი წონა;

➤ ალტმანის კოეფიციენტი;

➤ თვითდაფინანსების დონე;

➤ აქციონერული კაპიტალის წილი დაფინანსების საერთო წყაროებში და ა.შ.

ამ მაჩვენებლებიდან ფირმის ფინანსურ სიმყარეს ყველაზე უკეთ ახასიათებს: საერთო გადამხდელუნარიანობის კოეფიციენტი, ავტონომიის კოეფიციენტი, მანევრირების კოეფიციენტი, მიმდინარე აქტივების დაფინანსებაში საკუთარი წყაროების წილის მაჩვენებელი, იმობილიზაციის კოეფიციენტი, საკუთარი სახსრებით მარაგების უზრუნველყოფის კოეფიციენტი დ. ალტმანის კოეფიციენტი [6, გვ. 55-55].

ალტმანის კოეფიციენტი, რომელიც Z მაჩვენებლად იწოდება, გვიჩვენებს ფირმის გაკოტრების ალბათობის სიდიდეს: $Z=1,2 \cdot x_1 + 1,4 \cdot x_2 + 3,3 \cdot x_3 + 0,6 \cdot x_4 + 1,0 \cdot x_5$

➤ x_1 = წმიდა საბრუნავი კაპიტალი/აქტივები;

➤ x_2 = გაუნაწილებელი მოგება/აქტივები;

➤ x_3 = საბალანსო მოგება/აქტივები;

➤ x_4 = აქციების საბაზრო ღირებულება/ნახევარი სახსრები;

➤ x_5 = რეალიზაციიდან წმინდა ამონაგები/აქტივები.

თუ ფირმა არ არის სააქციო საზოგადოება, მაშინ x_4 ის გაანგარიშებაში აქციების საბაზრო ღირებულების ნაცვლად, უნდა ჩაიდოს ფირმის

მთლიანი აქტივები.

თუ პრაქტიკულად დადგინდა, რომ $Z > 2,99$, მაშინ ფირმას გაკოტრება არ ელოდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ფინანსური მენეჯმენტი კარგადაა აწყობილი, ხოლო თუ $Z < 1,81$ -ზე, მაშინ ფირმის გაკოტრების ალბათობა მაღალია და მისმა ფინანსურმა მენეჯერმა უნდა შეცვალოს მუშაობის ტაქტიკა და სტრატეგია [4, გვ. 308].

ამრიგად, ჩვენ წარმოავადგინეთ თითქმის ყველა იმ ფინანსური კოეფიციენტის ფორმირების და ანგარიშის ლოგიკა, რომლებიც იძლევიან ფირმის ქონებრივი და ფინანსური პოტენციალის შეფასების საშუალებას.

შევნიშნავთ, რომ ამ კოეფიციენტების იზოლირებულად, ერთმანეთთან დაუკავშირებლად ანგარიში ვერ მოგვცემს სწორ დასკვნებს. თუმცა, არ არის აუცილებელი ამ სფეროში არსებული ყველა მაჩვენებლის გამოთვლა. მენეჯერმა უნდა ამოირჩიოს მოცემული ფირმისათვის ყველაზე ძირითადი მაჩვენებლები. ჩ. გიბსონის მიერ ფინანსისტების გამოკითხვით ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფინანსური კოეფიციენტებიდან ისინი უპირატესობას ანიჭებენ რენტაბელობას, ფინანსური დამოუკიდებლობას და ლიკვიდობას. ეს გამოკვლევა საქართველოს საწარმოთა ფინანსურმა მენეჯერებმა შეიძლება მიიღონ ცნობად და ორიენტირად პრაქტიკულ საქმიანობაში.

დასკვნა

სტატიაში – „საწარმოთა ფინანსური სიმყარის მონიტორინგის განხორციელების მოქმედი მეთოდის შეფასება“ – წარმოდგენილი ფინანსური კოეფიციენტების ანგარიშის ალგორითმის განხილვით გამოგვაქვს დასკვნა, რომ მათი სიმრავლის გამო, პრაქტიკოსმა ფინანსურმა მენეჯერმა საბოლოო დასკვნა რენტაბელობის, ლიკვიდობის და ფინანსური დამოუკიდებლობის გამოყენებით უნდა გააკეთოს.



ლიტერატურა:

REFERENCES:

1. Хорн В., основы Управления финансами, М., 1997.
2. Анализ финансового состояния предприятия (основные положения методики), Санкт-Петербург, 1996.
3. Романов А. Оденцов Б. “Компьютеризация аудиторской деятельности” М. “Аудит”, 1996.
4. ღუდუშაური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2015.
5. Ковалова А. и др. финансы фирмы. М., ИНФРА 2002.
6. პაპასკირი რ., ფინანსური მენეჯმენტის მდგომარეობა და მისი სრულყოფის გზები საქართველოს სამშენებლო ბიზნესში, თბ., 2012.
1. Horn B. Principles of Financial Management, M. 1997.
2. Analysis of the Financial Condition of Enterprises (the main provisions of the technique), St. Petersburg, 1996.
3. Romanov A. Odentsov B. “Computerization of Auditing” AM “Audit”, 1996.
4. Gudushauri Z., “Financial Management” Tbilisi, 2015.
5. Kovalev, A. et al. Company Finances. M. INFRA 2002.
6. Papirski R. Condition of Financial Management and its Improvement Ways in Georgian Construction Business, Tbilisi, 2012.

ESTIMATION OF CURRENT MONITORING METHOD OF FINANCIAL WORLD

BAKAR BARATASHVILI
Doctoral candidate of GTU
E-mail: barata49@mail.ru

Summary

The article “Estimation of Current Monitoring Method of Financial World” considers 5 group ratios and their rating criteria. Those groups are: business activity, capital structure, liquidity, profitability and market activity. Each of groups characterizes at least three indicators and presents their rating standards.

Among the listed groups of financial concept joint stock company uses all, while the rest organizational-legal forms only the first four groups.

There are the Altman formula for the prediction of company’s financial condition and its rating criteria in the article